REDEMOS

RECONFIGURING EU DEMOCRACY SUPPORT. TOWARDS A SUSTAINED DEMOS IN THE EU'S EASTERN NEIGHBOURHOOD

**პოლიტიკის** მოკლე მიმოხილვა 7

# ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დემოკრატიასთან შეუსაბამო ნარატივები: შედეგები ევროკავშირის პოლიტიკისთვის

ანდრეი დარკოვიჩი და მარინა რაბინოვიჩი
დეკემბერი, 2025

Funded by the European Union

The REDEMOS project has received funding from the European Union's Horizon Europe research and innovation programme under grant agreement No 101061738. The Associated Partner University of Surrey has received funding from UK Research and Innovation (UKRI) under the UK government's Horizon Europe funding guarantee under grant number 10040721. The Associated Partner University of St. Gallen has received funding from the Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation (SERI). Views and opinions expressed are, however, those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union, UKRI and SERI. Neither the European Union nor UKRI or SERI can be held responsible for them.

# საკითხის ზოგადი მიმოხილვა

**ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი ლიბერალურ-დემოკრატიული და ავტორიტარული წესრიგის მოდელებს შორის დაპირისპირების ძირითად სარბიელად იქცა.** ევროკავშირი პარტნიორ-თანამოაზრეებთან ერთად ცდილობს მხარი დაუჭიროს დემოკრატიზაციას, კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებების დაცვას სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. ამავე დროს, რუსეთი და, უფრო ნაკლებად, ჩინეთი ნერგავენ პოლიტიკური წესრიგის ალტერნატიულ ხედვებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ როგორც ევროკავშირის პრეტენზიებს ნორმატიული ლიდერობის მიმართ, ისე ევროკავშირის უნარს, იმოქმედოს, როგორც საიმედო პარტნიორმა უსაფრთხოებისა და განვითარების სადარაჯოზე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთი **სულ უფრო მეტად წარმოაჩენს ლიბერალურ დემოკრატიას, როგორც ცივილიზაციურ საფრთხეს,** დემოკრატიული მოძრაობის დასავლეთის მხარდაჭერას კი გეოპოლიტიკური ომის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს. ეს ნარატივები არ წარმოადგენს მხოლოდ საგარეო პროპაგანდას; მათ შექმნაში ჩართული არიან ადგილობრივი სუბიექტები, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ კონტექსტს შიდა პრობლემებთან, იდენტობის კონფლიქტებსა და უსაფრთხოების დილემებთან. ამ თვალსაზრისით, FIMI (უცხოური მანიპულირება და ინფორმაციული ჩარევა) **არა იმდენად ეგზოგენური შოკია, რამდენადაც დისკურსული რესურსების ნაკრები,** გამოსადეგი ეროვნული ელიტის მობილიზებისთვის ავტორიტარული კონსოლიდაციის, რეფორმების შენელების ან მოსკოვთან შერჩევითი დაახლოების ლეგიტიმაციის მიზნით.

ჩინეთის ყოფნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საინფორმაციო სივრცეში უფრო შეზღუდულია, მაგრამ მისი **შედეგებსა და განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგია** მთავრობებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენს, **ვინაიდან იმედგაცრუებულია დასავლური დემოკრატიის მხარდაჭერის ნელ-თბილი, პირობითი და ხშირად არათანმიმდევრული ხასიათით.** მაგალითად, საქართველოში ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ინფრასტრუქტურისა და დივერსიფიკაციის შესახებ შიდა დებატების ფონზე წამოწეული ჩინური რიტორიკა გვთავაზობს "მესამე გზას", რომელიც არ საჭიროებს ლიბერალურ რეფორმებს.

# ძირითადი დასკვნები

➢ **რუსეთი ხელმძღვანელობს ოთხი ძირითადი ნარატივით,** რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად აკნინებენ ლიბერალურ დემოკრატიასა და ევროინტეგრაციას: (1) "*დაცემული და დეგრადირებული დასავლეთი*"; (2) "*ისტორიული ერთობა რუსეთთან*"; (3) "*რუსეთი უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, დასავლეთი კი კონფლიქტებს აღვივებს*"; (4) "*დასავლეთისგან თავსმოხვეული დემოკრატია*". ამ ჩარჩოში ევროკავშირი და მთლიანად დასავლეთი ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების საზოგადოების თვალში ჩანს, როგორც მორალურად გარყვნილი, პოლიტიკურად თვალთმაქცი, სტრატეგიულად აგრესიული და კულტურულად უცხო.

➢ **ჩინური ნარატივები ნაკლებად ახდენენ საზოგადოების პოლარიზებას, თუმცა შეუმჩნევლად, ნელ-ნელა არყევენ ლიბერალური დემოკრატიის ხიბლს.** ჩინეთი ნერგავს ერთიან, შედარებით მსუბუქ მეტანარატივს, რომელიც განსაზღვრავს "**ჩინეთს, როგორც პოზიტიურ ალტერნატივას**", ხაზს უსვამს ეკონომიკურ პრაგმატიზმს, ჩაურევლობას და განვითარებას და ამასთან ერთად, ხელს უწყობს დასავლური დემოკრატიული მოდელის უნივერსალურობასა და ეფექტურობაში ეჭვის შეტანას. ჩინეთის ნარატივის ზეგავლენა უმეტეს ქვეყანაში გაცილებით სუსტია, რუსეთის ნარატივთან შედარებით, თუმცა საქართველოში მნიშვნელოვნად უფრო შესამჩნევი გახდა ორმხრივი კავშირების გაღრმავების ფონზე.

➢ **შიდაპოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პირობები, რა თქმა უნდა, გადამწყვეტ როლს ასრულებს გარე ნარატივების აღქმაზე.** რუსული ჩარჩოები აქტიურად ვრცელდება ბელარუსის სახელმწიფო მედიასა და პოლიტიკურ დისკურსში და სულ უფრო საკამათო და დეკონსტრუქციული ხდება უკრაინაში; სხვა ქვეყნები (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა) შუალედურ პოზიციებს იკავებენ, შერჩევითი მეთოდით ახდენენ რა კონკრეტული ნარატივების გავრცელებას, მიღებას თუ უგულებელყოფას.

➢ **ამავე დროს, უსაფრთხოების ნარატივები დემოკრატიის მხარდაჭერას საფრთხედ განიხილავს.** ხშირ შემთხვევაში, რუსეთი წარმოჩნდება, როგორც წესრიგისა და სტაბილურობის გარანტი, ხოლო ევროკავშირი, ნატო და შეერთებული შტატები — როგორც დესტაბილიზაციის წყარო, რომლებიც ომების, "ფერადი" რევოლუციების პროვოცირებას ახდენენ ან ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას იწვევენ. დემოკრატიული მოძრაობები, არჩევითი პროტესტები და ევროკავშირთან დაკავშირებული რეფორმები ამ ნარატივებში ახლებურადაა ინტერპრეტირებული, როგორც დასავლეთის მიერ ორგანიზებული ძირგამომთხრელი საქმიანობა და არა — როგორც ადგილობრივი აქტივობის გამოვლინება.

➢ **რელიგია და მორალი მთავარი ბრძოლის ველია.** რუსული ნარატივები სისტემატურად წარმოაჩენენ ევროკავშირსა და მთლიანად დასავლურ სამყაროს, როგორც "ტრადიციული ღირებულებების" მტრულ და მორალური დაცემის ზონას, ხოლო LGBTQ+ უფლებები და გენდერული თანასწორობა გამოიყენება ზნეობრივი დაცემის სიმბოლოებად. ასეთ კონცეფციებს აქტიურად ავრცელებენ მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები და კონსერვატიული ფიგურები მოლდოვაში, საქართველოსა და სომხეთში, მაგრამ წინააღმდეგობაც სულ უფრო მეტი ხვდებათ პროევროპული პოლიტიკური და სამოქალაქო ელიტების მხრიდან.

# რეკომენდაციები

ამრიგად, ევროკავშირის პოლიტიკური ძალების ძირითადი ამოცანა ორი ასპექტისგან შედგება. პირველი, მოხდეს აღიარება, რომ დემოკრატიის დამაკნინებელი ნარატივები არის არა აბსტრაქტული დისკურსები, არამედ სტრუქტურირებული ძალა, რომელიც აყალიბებს იმას, თუ როგორ ახდენენ მოქალაქეები კრიზისების, პროტესტების, ინტეგრაციისა და ომების ინტერპრეტაციას. მეორე, აუცილებელია დემოკრატიის მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავება, დემოკრატიული სივრცის საზღვრებისა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის პოლიტიკის გაფართოება არა მხოლოდ ავტორიტარული გზავნილების ზეგავლენის შესაძლო უგულებელყოფით, არამედ მათი გაუთვალისწინებელი გაძლიერების აღმოფხვრით — მაგალითად, არამეგობრული ნარატივებით დემოკრატიის მშენებლობაში დახმარების, როგორც უცხოური ჩარევის წარმოჩენა ან პოლიტიკური რეფორმების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის კონკრეტული პროგრესისაგან გამიჯვნის დაშვება.

სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში რუსული და ჩინური ნარატივების შედარებითი ანალიზის საფუძველზე REDEMOS-ი ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებს სთავაზობს:

➢ ლიბერალური დემოკრატიის ეროვნულ სტაბილურობასთან შეუთავსებლობის შესახებ არსებული მუდმივი გარე ნარატივის საპასუხოდ ევროკავშირმა უფრო მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია, როგორც უსაფრთხოების გარანტისა და არა მხოლოდ ნორმებისა და რეფორმების გამტარებლისა. ამიტომ დემოკრატიის მხარდაჭერა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული უსაფრთხოების ხელშესახებ შედეგებთან: ინვესტიციები კიბერმდგრადობაში, საზღვრის დაცვაში, თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში, კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და სამოქალაქო მზადყოფნაში. ამ კავშირების უშუალოდ ადგილობრივ თემებსა და პოლიტიკურ ელიტებამდე დაყვანა ხელს შეუწყობს იმ ნარატივის მოშლას, რომ ევროკავშირი და ნატო "არასტაბილურობის იმპორტს" ახდენენ და დაამკვიდრებს აზრს, რომ დემოკრატიზაცია და ევროპასთან უფრო მჭიდრო ჩართულობა უზრუნველყოფს დაცვის გაძლიერებას და კოლექტიურ მდგრადობას.

➢ ანტიდემოკრატიული ნარატივები კვლავაც პოულობს ნაყოფიერ ნიადაგს იქ, სადაც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ჯერაც მოუგვარებელია, განსაკუთრებით ომის, დევნილობისა და ეკონომიკური კოლაფსის შედეგად დაზარალებულ ფრონტისპირა რეგიონებში. ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს ისეთი რეალობა, რომ ევროპული ინტეგრაციის პრაქტიკული ყოველდღიური სარგებელი – ხარისხიანი სამუშაო ადგილები, სათანადო მომსახურება, სამართლიანი მმართველობა და აღდგენილი ინფრასტრუქტურა — იყოს თვალსაჩინო და გაზომვადი. გამჭვირვალობით და დემოკრატიაზე ორიენტირებული ისეთი რეფორმების გატარებით, რომლებიც აშკარად წარმოაჩენენ ადამიანთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და სოციალურ სამართლიანობას, ევროკავშირი შეძლებს შეამციროს იმ ნარატივების მიმართ ნდობა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დასავლეთის ჩართულობა იწვევს უთანასწორობას, კორუფციას ან დამოუკიდებლობის დაკარგვას, რაც გაძლიერებს, თავის მხრივ, ნდობას როგორც ევროპული ინსტიტუტების, ისე შიდა რეფორმატორების მიმართ.

➢ რუსეთი, "ტრადიციული ღირებულებების" პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებით, ევროკავშირს წარმოაჩენს, როგორც ცივილიზაციურ საფრთხეს, განსაკუთრებით, იმ საზოგადოებებში, სადაც უმრავლესობა არის მართლმადიდებელი მორწმუნე. ევროკავშირმა კულტუროლოგიურად მგრძნობიარე ეს სფერო კი არ უნდა უგულებელყოს, არამედ კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს კონსერვატიულ და რელიგიურ აქტორებთან, რომლებსაც საზოგადოებაზე ნამდვილი ზეგავლენა აქვთ და ამავე დროს მტკიცედ უნდა დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. თანასწორობისა და უფლებების დაცვის გადაფასება პირადი ღირსების პოზიციიდან, ოჯახის უსაფრთხოების დაცვისა და იძულებისგან გათავისუფლებით შეამცირებს პოლარიზაციას და შეასუსტებს "კულტურათა ბრძოლის" ავტორიტარული ნარატივების ეფექტურობას, ევროკავშირის მარეგულირებელი ვალდებულებების შესუსტების გარეშე.

➢ ევროკავშირმა თავისი მიდგომები უნდა მოარგოს აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებულ განსხვავებულ შიდაპოლიტიკურ კონფიგურაციებს. უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში ევროპულმა მხარდაჭერამ უნდა გააერთიანოს დემოკრატიული რეფორმები უსაფრთხოების სფეროში დახმარება და ევროკავშირში გაწევრიანების მკაფიო გზები. უფრო ავტორიტარულ ან ჰიბრიდულ კონტექსტებში, როგორიცაა ბელარუსი, სომხეთი და აზერბაიჯანი, ადამიანებზე ორიენტირებული ჩართულობა, განათლების, მობილურობის პროგრამების, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისა და საზოგადოების განვითარების საშუალებით, შეიძლება დაეხმაროს დემოკრატიული საზოგადოებრივი ჯგუფების შენარჩუნებას და იმავდროულად შეამციროს რეჟიმების მიერ ევროკავშირის ქმედებების დესტაბილიზაციად წარმოჩენის შესაძლებლობა. დიფერენცირებული, კონტექსტზე მორგებული მიდგომა გააძლიერებს დემოკრატიის მდგრადობას, რადგან ევროკავშირის მხარდაჭერა უფრო შესაბამისი გახდება იმ მოტივების, იდენტობისა და სისუსტეებისა, რომლებიც აყალიბებენ ადგილობრივ პოლიტიკურ რეალობას.

სრული ტექსტი REDEMOS-ის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვის – **ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დემოკრატიასთან შეუსაბამო ნარატივები: შედეგები ევროკავშირის პოლიტიკისთვის** – ხელმისაწვდომია ბმულზე: https://redemos.eu/resources/publications/working-papers/

**REDEMOS: REconfiguring EU DEMOcracy Support.**
**Towards a sustained demos in the EU's Eastern Neighbourhood**

REDEMOS- 101061738
HORIZON-CL2-2021-DEMOCRACY-01-04

**Dr Mădălina Dobrescu, NTNU**
**info@redemos.eu**

redemos.eu @REDEMOS_eu REDEMOS Horizon Europe Project